ხელშეკრულება № 280 11

ქ. თბილისი ოქტომბერი 2016 წ.

ერთის მხრივ **"შემსრულებელი"** – სსიპ "აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი" წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის პაატა გოგოლიძის სახით, მოქმედი საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 99-ე მუხლის მე-12 პუნქტის, ასევე, აკრედიტაციის ცენტრის დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ბ) და გ) ქვეპუნქტების და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 04 აგვისტოს #301 დადგენილებით დამტკიცებული -„აკრედიტაციის ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესი"-ს თანახმად და

მეორეს მხრივ **"განმცხადებელი" - სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო"**, წარმოდგენილი ბიუროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის გიორგი მუმლაძის სახით, მოქმედი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ზ" ქვეპუნტის თანახმად,

"განმცხადებელი"-ს მიერ **"შემსრულებელი"**-სათვის წარდგენილი #5005346816, 29.09.2016 (აკრედიტაციის ცენტრში დარეგისტრირებული #583, 29.09.2016 წ.) განაცხადის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის შედეგად (**კლასიფიკატორის CPV კოდი - 71600000 - ტექნიკური შემოწმება, ანალიზი და საკონსულტაციო მომსახურებები**) ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. "შემსრულებელი" ჩაატარებს **"განმცხადებელი"-ს - სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს** თამბაქოს ნაწარმის, ალკოჰოლიანი ან უალკოჰოლო სასმელების ექსპერტიზის სამმართველოს საგამოცდო ლაბორატორიების დამატებით სფეროში აკრედიტაციის სამუშაოებს - 2016 წლის მეოთხე კვარტლის განმავლობაში - აკრედიტაციის წესებისა და პროცედურების შესაბამისად, ორ ეტაპად:

ა) პირველ ეტაპზე, განიხილავს **„განმცხადებელი"**-ს მიერ წარმოდგენილ განაცხადს;

ბ) მეორე ეტაპზე, **„შემსრულებელი"** ატარებს **„განმცხადბელი"**-ს ლაბორატორიის შეფასებას.

მუხლი 2. მხარეთა უფლება მოვალეობანი

2.1 "შემსრულებელი" იღებს ვალდებულებას გასწიოს ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული მომსახურება, ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

2.2 **„შემსრულებელი"** განაცხადს განიხილავს აკრედიტაციის ცენტრის შესაბამისი ნორმატიული აქტების თანახმად. (დამატებითი ინფორმაცია იხ. აკრედიტაციის ცენტრის ვებ-გვერდზე: gac.gov.ge)

2.3 **პირველ ეტაპზე** - განაცხადის განხილვის შედეგად **"შემსრულებელი"**:

ა) ადგენს, არის თუ არა განაცხადით წარმოდგენილი საკითხი აკრედიტაციის საგანი;

ბ) ადგენს შეესაბამება თუ, არა წარმოდგენილი განაცხადი კანონმდებლობას და დადგენილ მოთხოვნებს;

გ) აცნობებს განაცხადის განხილვის შედეგს აღმოჩენილი შეუსაბამობების მითითებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) **"განმცხადებელს"** ფოსტით ან/და ელ-ფოსტის საშუალებით.

2.4 თუ, წარმოდგენილ განაცხადში აღმოჩენილი იქნება პუნქტი 2.3-ის ა) და ბ) ქვეპუნქტებში მითითებული შეუსაბამობები, **"განმცხადებელს"** ეძლევა განაცხადის შეტანიდან 3 თვის ვადა შეუსაბამობების აღმოსაფხვრელად.

2.5 მუხლი 1.1-ის ბ) პუნქტით განსაზღვრული სამუშაოების **მეორე ეტაპი** ხორციელდება მხოლოდ **პირველი ეტაპის**-განაცხადის განხილვის დადებითი შედეგის შემთხვევაში.

2.6 **"განმცხადებლი"**-ს მოთხოვნის შემთხვევაში, **პირველი და მეორე ეტაპით** გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების შემდეგ მხარეებს შორის გაფორმდება მიღება - ჩაბარების აქტი.

მუხლი 3. მომსახურების საფასური

3.1 **სამუშაოების პირველი ეტაპის** - "**განმცხადებელი**"-ს მიერ აკრედიტაციის ცენტრში წარმოდგენილი განაცხადის განხილვის საფასური შეადგენს **-177,00 (ას სამოცდაჩვიდმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.**

3.2 სამუშაოების **მეორე ეტაპის** - აკრედიტაციის ცენტრის მიერ "**განმცხადებელი**"-ს შეფასებისათვის გაწეული მომსახურების ძირითადი საფასური და ტექნიკური შემფასებლების (ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეული სპეციალისტების) ანაზღაურება შეადგენს **- 715.08 შვიდასთხუთმეტი ლარი და რვა თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.**

3.3 ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება შეადგენს **- 892.08 (რვაას ოთხმოცდათორმეტი ლარი და რვა თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.** (საფასურების კალკულაციის ფურცელი თან ერთვის ხელშეკრულებას).

3.4 "**განმცხადებელი**" 3.3 პუნქტით განსაზღვრულ მომსახურების სრულ საფასურს იხდის უნაღდო ანგარიშსწორების გზით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს 2016 წლის 31 დეკემბრისა, ამ ხელშეკრულების მე-9 მუხლში მითითებულ, "**შემსრულებლის**" საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 4. ხელშეკრულების ძალაში შესვლა, მოქმედება და შეწყვეტა

4.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

4.2 წინამდებარე ხელშეკრულება წყდება შემდეგ შემთხვევაში:

ა) მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, "**განმცხადებელი**"-ს წერილობითი მომართვის საფუძველზე;

ბ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 5. პასუხისმგებლობა

მხარეთა პასუხისმგებლობა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 6. ფორს მაჟორი

6.1 მხარეები თავისულდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ნაწილობრივი ან სრული შეუსრულებლობისათვის თუ ის იყო გამოწვეული გადაულახავი გარემოებებით - ხანძრით, წყალდიდობით, მიწისძვრით და სხვ. რომლებმაც უშუალოდ იმოქმედეს ამ ხელშეკრულების შესრულებაზე.

ამასთანავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდბულებების შესრულების ვადა გადაიდება იმ დროით, რის განმავლობაშიაც მოქმედებდნენ ეს გარემოებები.

6.2 თუ ეს გარემოებები 6 თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა, არც ერთ მხარეს არ ექნება უფლება მოთხოვოს მეორე მხარეს ზარალის ანაზღაურება.

მუხლი 7. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

7.1 წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება აკრედიტაციის ცენტრის ნორმატიული აქტებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2 ამ ხელკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა წყდება მხარეებს შორის მოლაპარაკების გზით. იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს შორის დავის გადაწყვეტა ვერ მოხერხდება ამგვარი დავის ან უთანხმოების წარმოშობიდან 30 დღის განმავლობაში, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

8.1 წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს მხარეებს შორის სრულ შეთანხმებას და მას ენიჭება უპირატესი ძალა ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებულ, მანამდე დადებულ ნებისმიერ ზეპირ თუ წერილობითი შეთანხმების მიმართ.

8.2 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაკეთდეს წერილობით და ხელი მოეწეროს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

8.3 თუ წინამდებარე ხელშეკრულების ერთი ან მეტი დებულება რაიმე მიზეზით ჩაითვლება ბათილად, ძალადაკაგულად ან უკანონოდ, ეს არ გამოიწვევს მთლიანი ხელშეკრულების ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც შესაძლებელია ბათილი დებულების მიზნის მიღწევა.

8.4 წინამდებარე ხელშეკრულება იდება ქართულ ენაზე სამ ეგზემპლიარად, ერთი ინახება **„შემსრულებელთან“**, ხოლო ორი ეგზემპლიარი - **„განმცხადებელთან“**.

მუხლი 9. მხარეთა რეკვიზიტები

შემსრულებელი:	
დასახელება:	სსიპ "აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი"
მისამართი:	საქართველო, თბილისი, 0186 ალ. ყაზბეგის გამზირი #42ა
ტელეფონი:	+995 32 239 93 48, 219 22 33.
საბანკო რეკვიზიტები:	საიდენტიფიკაციო კოდი 200169325, , ბანკის კოდი **TRESGE22**, ანგარიშის სახაზინო კოდი **707197055**
განმცხადებელი:	
დასახელება:	სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის #84
ტელეფონი:	
საბანკო რეკვიზიტები:	სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი **TRESGE22** მიმღების ა/ნ სახაზინო კოდი **707767126**

მხარეთა ხელმოწერები:

"შემსრულებელი"

პაატა გოგოლიძე

თანამდებობა: აღმასრულებელი დირექტორი

ბ.ა.

"განმცხადებელი"

გიორგი მუმლაძე

თანამდებობა: ბიუროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი

ბ.ა

სსიპ-ლ. სამხარაულის სახ. ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საგამოცდო ლაბორატორიების დამატებით სფეროში აკრედიტაცია 2016			
შესაფასებელი სფეროების რაოდენობა	N =	2	
შესაფასებელი ტესტირების, დაკალიბრების ან გაზომვის მეთოდების რაოდენობა	M=	2	
აკრედიტაციის სფეროს სიდიდის კოეფიციენტი	P=	22	

აკრედიტაციის ცენტრის მომსახურების საფასური H = A + B + T სადაც:			
A	განაცხადის განხილვის საფასური =	150	
B	B = Bძირ + Bფილ		
	ძირითადი საფასური Bძირ =	500	*400 თუ P≤20* *500 თუ P>20*
	ფილიალების რაოდენობა =		
	დამატებითი ფილიალების შეფასების საფასური: Bფილ = (900 + 100xN) x ფილიალების რაოდენობაზე	0	
	სულ B =	500	
T	ტექნიკური შემფასებლის (ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეული სპეციალისტის) ანაზღაურება T = 90+8xN		
	I ტექნიკური შემფასებელის N_1 =	2	106
	II ტექნიკური შემფასებელის N_2 =		
	III ტექნიკური შემფასებელის N_3 =		
	სულ T =	106	

ხელშეკრულების ღირებულების გაანგარიშების ცხრილი					
განაცხადის საფასური	ძირითადი საფასური	ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეული სპეციალისტების ანაზღაურება	მომსახურების საფასური	დღგ	ხელშეკრულების ღირებულება დღგ-ს ჩათვლით
A +	B +	T =	H	0.18	
150	500	106	756	136.08	**892.08**

მოამზადა:

წამყვ. შემფ.

შეითანხმა:

ბუღალტერი